

**მებათქაშე 040653
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა:

წარმოდგენილი პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მებათქაშე წინასწარ მომზადებულ ზედაპირს აბათქაშებს სხვადასხვა სახის სამშენებლო დულაბებით; იყენებს მარტივ და რთულ დულაბებს მაღალხარისხოვანი ზედაპირის მისაღებად; არემონტებს და აღადგენს დაზიანებულ ზედაპირებს, ასრულებს მხატვრულ მობათქაშებას.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამშენებლო ობიექტზე, რომლის მშენებლობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებლივი ფორმის მქონე სამშენებლო კომპანია.

მებათქაშე შეიძლება დასაქმდეს:

- ა) მრავალპროფილიან საწარმოში;
- ბ) მონოპროფილიან საწარმოში;
- გ) როგორც თვითდასაქმებული.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მებათქაშის განათლება არის ერთსაფეხურიანი (III) და საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპ

მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს , რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მებათქაშის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის შემდეგი საკითხები: შრომის და ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები; სამუშაო ადგილების მოწყობა, დაცვა და სამშენებლო მოედნის დალაგება, სამშენებლო და მშენებლობის დამხმარე მასალების შემოწმება, დასაწყობება და არჩევა შენობებისა და ნაგებობების სახეები; მათი ცალკეული ნაწილების და კონსტრუქციული ელემენტების კლასიფიკაცია; აზომვების ჩატარება, ხაზვის საფუძვლები; შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები; სამშენებლო მასალები საბათქაშე სამუშაოებისათვის; საბათქაშე ინსტრუმენტები და მექანიზმების დანიშნულება, კლასიფიკაცია და მათი გამოყენების მეთოდები; სამშენებლო ხარაჩოების სახეები; ბათქაშის ტრადიციული სისტემები, საბათქაშე სამუშაოების სახეები, საბათქაშე დულაბები; სხვადასხვა სახის მოსაბათქაშებელი ზედაპირების მომზადების მეთოდები; ზედაპირების დასარყვის სამუშაოების სპეციფიკა მაღალხარისხოვანი მობათქაშებისათვის, ნიშნულებისა და შუქურების დაყენების ხერხები, სამშენებლო დულაბების დატანის ტექნოლოგიები; დაზიანებული ზედაპირების სარემონტო სამუშაოების შესრულების მეთოდები; ბათქაშის რემონტი.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სამუშაო ადგილის მოწყობა, შენახვა და დალაგება და დაცვა, სამუშაო, დამცავი ხარაჩოების ნორმების შესაბამისად აწყობა, დემონტაჟი და შენახვა, ინსტრუმენტების და ხელსაწყოების გამზადების ორგანიზება, ხელსაწყოებზე მოშლილობის დადგენა და ინსტრუმენტების ტექნიკური მომსახურება. სამშენებლო და დამხმარე მასალების, ასევე მზა დეტალების, ჩასაშენებელი და მისაშენებელი ელემენტების ვიზუალური დათვალიერებით შემოწმება გამოყენებადობის კუთხით, ნორმის შესაბამისად მათი გამოწერა, სამშენებლო მოედანზე მოტანა და დასაწყობება; სხვადასხვა სახის მოსაბათქაშებელი ზედაპირების მომზადება: ზედაპირების დასარყვა მაღალხარისხოვანი მობათქაშებისათვის, ნიშნულებისა და შუქურების დაყენება, ხელით მობათქაშება, სამშენებლო დულაბების სხვადასხვა ტიპების მომზადება და მათი დატანა ზედაპირზე; ინტერიერისა და ექსტერიერის ცალკეული</p>

		კონსტრუქციული ელემენტების მობათქაშება, ბათქაშის არმირების ჩადება, ბათქაშის მზიდი კონსტრუქციის დაყენება, ბათქაშის შაბლონის (თარგის)დამაგრება და გასწორება, დეკორატიული მობათქაშება; დაზიანებული ზედაპირების რემონტი და ბათქაშების შემდგომი დამუშავება, შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მობათქაშება შესაბამისი ტექნოლოგიით, შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის განახორციელება.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	სამუშაო პროცესში ითვალისწინებს ტექნიკური მარეგულირებელი მექანიზმების, პროფესიული ინსტრუქციების და კანონების მოთხოვნებს, შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში საფრთხის შეფასება,წამოჭრილი პრობლემების გაანალიზება, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისგან დამცავი ღონისძიებების გატარება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შრომითი კარიერის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციების შეგროვება, დამუშავება და დოკუმენტირება, მონაცემთა სისტემებით სარგებლობა,მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა დონეზე და მის მიერ შესწავლილ უცხოურ ენაზე პროფესიული ტერმინოლოგიისპრაქტიკაში გამოყენება
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია ყოველდღიური ანგარიშის შედგენა და თვითგანვითარებაზე ზრუნვა, წინასწარ განსაზღვრული პროფესიული ამოცანების ფარგლებში საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა და პასუხისმგებლობის აღება .
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებს. პატივს სცემს კოლეგებსა და აქვს საქმიანობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

